

DOI: 10.54635/tpks.2022.32putk

**ალექსანდრე ორბელიანის  
ერთ ხელნაწერზე დაკვირვება  
OBSERVATION ON ONE MANUSCRIPT  
BY ALEXANDER ORBELIANI**

**ნინო ვახანია**

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
თბილისი, საქართველო

**Nino Vakhania**

Sokhumi State University  
Tbilisi, Georgia

**ABSTRACT**

Alexander Orbeliani is an outstanding figure in our culture. Currently, a four-volume academic edition of the complete works of the writer is being prepared for publication by the Institute of Literature. The study of manuscripts has revealed many new and noteworthy aspects. It has become clear that the author performed a thorough work on his writings. It is confirmed by the corrections of style made by the writer at various times – some immediately, during writing, some later, and emendations made (with another pen) while reading, rereading, and revising.

“Notes on the present and the past times” is a very important piece of journalism that was kept in the writer’s archive for a long period. Strict censorship practiced in the 19th century and even further intensified one applied in the 20th century would interfere and prevent the publication. The article was first published in 1999 in the collection of works entitled Speech at a Communal Dinner published by the Alexander Orbeliani Society. It was, indeed, printed according to the final version of the author’s manuscript that corresponded to his will.

It turned out that he had himself crossed out several phrases – especially “dangerous” and “risky” ones. Despite slightly crossed-out places made with a pencil, these sentences are read effortlessly. Here he underlines the level of cultural development of Georgian, highlighting our advantage compared to conqueror country; he also addresses Europe and appeals for vigilance. He believed that a tyrant state was a threat to the entire Europe. I wonder what was the reason for removing these sections.

It is obvious that some of the sections finally removed from the text by the author once again demonstrate Alexander Orbeliani’s remarkable patriotism, uncompromising attitude to the conqueror, and striving for independence.

**საკვანძო სიტყვები:** ქართული მწერლობა, XIX საუკუნის ქართული პუბლიცისტიკა, ალექსანდრე ორბელიანი, ხელნაწერი.

**Keywords:** Georgian literature, the 19th-century Georgian journalism, Alexander Orbeliani, Manuscript.

ალექსანდრე ორბელიანი, ქართული კულტურის უაღრესად მნიშვნელოვანი წარმომადგენელი, ჯერ კიდევ სათანადოდ დაუფასებელი მოღვაწეა. იგი მრავალმხრივი შემოქმედი გახლდათ – პოეტი, ბელეტრისტი, დრამატურგი, პუბლიცისტი, პოლიტიკოსი... სამწუხაროდ, მისი ნაწერების სრული კრებული ჯერაც არ არის გამოცემული, თუმცა ლიტერატურის ინსტიტუტში უკვე მზადდება დასაბეჭდად ალექსანდრე ორბელიანის თხზულებათა სრული აკადემიური ოთხტომეული.

ალექსანდრე ორბელიანი არ არის მიჩნეული მხატვრული სიტყვის დიდოსტატად. მისი ნაწარმოებების უმთავრესი ღირსება და ხიბლი მათი დოკუმენტურობა და ავტორის გულწრფელობაა. „ქართლის ბედის განუყოფელი ნაწილი“ უწოდა როსტომ ჩხეიძემ ორბელიანის შემოქმედებას (ჩხეიძე 1996: 308). უნდა ვთქვათ, რომ მწერლის ფრაზა ზოგჯერ მკაფიოდ მოქნეულია, ხან რიტმული პროზაც გამოერევა თხრობაში, არც სხვა მხატვრული სამკაულებია უცხო მისი თხზულებებისთვის. ვერ ვიტყვით, რომ თხრობა იუმორით იყოს გაჯერებული, მაგრამ ზოგჯერ, აქა-იქ, თავისებური, ჩუმი და შეფარული ღიმილი მაინც შემოგვანათებს. იუმორი კი, მოგეხსენებათ, მით უფრო ფასეულია, რაც უფრო ღრმად და ქვეტექსტური.

ამჯერად მხოლოდ ერთი პუბლიცისტური წერილის შესახებ ვისაუბრებ – „ახლანდელს და უწინდელს დროზედ შენიშვნა“, რომელიც პირველად გამოქვეყნდა 1999 წელს ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების მიერ შედგენილ მწერლის მცირე კრებულში „სიტყვა მამულის ტრაპეზზედ“. ვფიქრობ, ინტერესს მოკლებული არ იქნება, თუ მოკლედ გაგაცნობთ წერილის მთავარ სათქმელს, პათოსსა და ტენდენციას. სტატიაში მწვავედ დგას მთელი ერისათვის უმნიშვნელოვანესი საჭირობოროტო კითხვები: რას ნიშნავს ქართველობა? რანი ვიყავით წარსულში და რად გადავიქცეით? რა საფრთხე გვემუქრება და რა უნდა ვიღონოთ, რომ მომავალშიც ქართველებად დავრჩეთ და სხვა ერში არ ავითქვიფოთ?

არსებითად, მწერალმა ქართველები ორ ნაწილად (კატეგორიად) დაყო – რუსობამდელ და რუსების დროისად (ორბელიანი 1999: 165). ალექსანდრე ორბელიანი ერთმანეთს უპირისპირებს ძველსა და ახალს (ზღვარი მათ შორის 1801 წელია, საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვა) და ყველაფერში უპირატესობას ძველს ანიჭებს. მისი შეხედულებით, ძველად ჩვენში სრული ჰარმონია, იდილია სუფევდა ცხოვრების ყველა სფეროში, ახლა დისჰარმონია, არეულობა და ქაოსია. ამის მიზეზი, ცხადია, უცხოელი დამპყრობლის გაბატონებაა ქვეყანაში. ძველის გაიდევალებით მწერალი, ბუნებრივია, თავისუფლებას შენატრის. „ახლანდელს და უწინდელს დროზედ შენიშვნა“ ავტორის მიერ დაყოფილია 26 პატარა ნაწილად, თავად. თითოეული მათგანი დასათაურებულია და ყოფის სხვადასხვა წახნაგს, სხვადასხვა მხარეს ასახავს. სტატია თავისი მწვავე ტონით, კარგისა და ავის დაპირისპირებით გამომდებელი ხიზლების როლს ასრულებს (უნდა ასრულებდეს) მკითხველისთვის. პირველნაბეჭდში, ცხადია, გათვალისწინებულია ავტორის საბოლოო ნება და ამიტომ მწერლის მიერვე გადახაზული პასაჟები იქ არ აღბეჭდილა.

ამჟამად, აკადემიური გამოცემის მომზადებისას, ხელნაწერზე დაკვირვებისას გაცხადდა, რომ ალექსანდრე ორბელიანი გულდასმით ასწორებდა ტექსტს, შეჰქონდა მასში ცვლილებები ან მაშინვე, დაწერისთანავე, ან მერე, დროდადრო უბრუნდებოდა ერთხელ დაწერილს და ამატებდა, აკლებდა, ხვეწდა სტატიას. ცვლილებები სხვადასხვა სახისაა, ძირითადად – შინაარსობრივი და სტილური. მიზეზიც ზოგჯერ სიტყვისა და წინადადების, ზოგჯერ მთელი ფრაზების გადაშლისა სხვადასხვა შეიძლება იყოს: ცენზურის შიში, ნათქვამის სხვა თხზულებაში გამოყენება, სტილური შეუსაბამობა...

მეორე თავში – „სარწმუნოებისადმი“ გადახაზულია (ფანქრით მკრთალად გადახაზული სტრიქონები ძალდატანების გარეშე იკითხება): „ერთმანეთის შურიტვეცხოვრებით, გვეჯავრება ერთმანეთი და განშორებული ვართ ერთმანეთისაგან და ამითი ვსიამოვნებთ დიდათ, რომელნიცა ამის მეტსა არას გვასწავლიან არა კეთილს რასმე რუსები, თვინიერ ერთმანეთის შურისა ანუ ერთი ერთმანეთის საჩივარსა დაუსრულებელსა“ (ხეც S-1645). შურსა და ჩვენში გავრცელებულ სხვა უზნეობებზე სხვადასხვა თხზულებაში არაერთხელ პირუთვნელად საუბრობს მწერალი, თუმცა ასე ხაზგასმულად დამპყრობლის მიერ წაქეზებული მანკიერების აღწერა, როგორც ვხედავთ, ამოულია საბოლოო ვერსიიდან. ძნელი სათქმელია, დასაბუქდად მიიტანა და სხვამ (რედაქტორმა, ცენზორმა) ამოაშლევინა თუ თვითონვე მიხვდა, რომ ასე შიშვლად და შეუფარავად ნათქვამ სიმართლეს მაინც არ გამოუქვეყნებდნენ. სხვაგან გადახაზულია: „ჩვენის უბედურობის მდგომარეობით სარგებლობენ, ისე როგორც უჯობთ. თვითონ ჩავარდნილი ვართ საშინელს მონებაში“.

რუსეთის ხელისუფლება ჩაგვავიწმინდა, რომ დაპყრობით ბევრი კარგი მოუტანა საქართველოს, ერთი უპირველეს სიკეთეთაგან გულისხმობდნენ და ასახელებდნენ ჩვენში განათლების შემოტანას. თითქოს მანამდე არც გელათისა თუ იყალთოს აკადემიები გვექონოდა, უახლოეს წარსულში თელავის სასწავლებელი და ეკლესია-მონასტრებთან სხვა სკოლები არ არსებულებოდა... რუსებმა მართლაც გახსნეს საქართველოში რამდენიმე ოფიციალური, სახელმწიფო გიმნაზია, რომელთა დაარსების მიზანი თვალსაჩინოა – ამ დაწესებულებებში უნდა აღზრდილიყვნენ რუსეთის იმპერიის ერთგული ჩინოვნიკები. შეიძლება ვინმემ იკითხოს, ნუთუ ვერაფერი დაუპირისპირეს ქართველმა მამულიშვილებმა დამპყრობლის ამ ვერაგულ ნაბიჯებს? კერძო სასწავლებელი მაინც გაეხსნათ? ვერ თუ არ? მტანჯველ შეკითხვაზე პასუხს ალექსანდრე ორბელიანი გაგვცემს: „...კერძოობითი სასწავლებლები ხომ ამოხოცეს ყველგან და ველარავის ვეღარ შეუძლიან თავისუფალი კერძოობითი სასწავლებლები გახსნან მინამ რუსეთის მთავრობასთან არ შეიკვრიან პირობით, რომ რუსეთის პროგრამით ასწავლონ... რუსების მთავრობისაგან გაუბედურებულს ჩვენს ხალხსა“ (ხეც S-1645). კარგად იცის მწერალმა, რაც ხდება თავის სამშობლოში. ნეტა თვითონვე ხომ არ აპირებდა კერძო, ქართული სკოლის გახსნას? გულისტკივილს ქალაქს ანდობს, თუმცა, ალბათ, გამოუქვეყნების მოლოდინში ეს სტრიქონებიც გადაუხაზავს.

თავის დიდ, გაუნელებელ ტკივილს ამ სტატიაში კიდევ რამდენჯერმე თამამად, პირდაპირ გამოთქვამს, თუმცა, როგორც ვხედავთ, მერე თვითონვე შლის ხოლმე (მაგრამ ისე, რომ ამოკითხვა თავისუფლად შეიძლება. ვითომ იმას ითვალისწინებდა, რომ მომავალში მაინც ვინმე დაინტერესდებოდა და წაიკითხავდა? ფაქტია, რომ ნაფიქრის კვალს მთლიანად არ აქრობს). აი, კიდევ ერთი მონაკვეთი ხელნაწერიდან: „აქ გავწყვეტთ, ვეღარას ვიტყვით რა ანბავია, რა საშინელება არის მოვლენილი ჩუენზედ ცბიერის და დაუნდობელის რუსებისაგან. ამას მრავალჯერ ვგრძნობთ, მაგრამ გაჩუმებულნი ვართ მოთმინებით, ყოვლის საშუალებით მოსპობილნი, უღონოდ ქმნილნი და ძლიერად გაგლესილნი დედამიწამდისინ რუსებისაგან“. ასეთი ვითარება გულს როგორ არ მოუკლავს უძღურ ჭირისუფალს?! ემოციურად კიდევ უფრო მეტად დამაბული და მხატვრულადაც უფრო ეფექტური, დიდი ზემოქმედების ძალის მქონე სტრიქონები გახლავთ: „ჩვენსა ხალხსა ბნელი გალესილი რუსეთის ხმალი აკრავს ზურგზე გასაპობათ მარადის და გულში დაბჯენილი შტიკი გასაგმირათ ყოველთვის. თითქმის რუსების გაუკითხავსა მათრახზე და ჯოხზე სძინავთ ჩუენსა ხალხსა მარადის ძილგაკრთობილნი...“ აბა, რის ალექსანდრე ორბელიანი იქნებოდა, ამ ტრაგიკულ ყოფას თუ მოარიდებდა თვალს და გურამიშვილისეული და ილია ჭავჭავაძისეული დაუნდობელი სიმართლით არ შეძრავდა მკითხველის გულს. მაგრამ ვინ დაანებებდა და ამიტომ დრომდე ხელნაწერად ინახებოდა, მკრთალად გადავლებული ფანქრის ზოლის ქვეშ საიმედოდ შეყუყული.

შემზარავი ყოველდღიურობის გადმოსაცემად მწერალი რიტმულ პროზასაც იყენებს. შეეხო დღეისთვისაც საყურადღებო საკითხს, სასამართლოებს, რომლებსაც, როგორც ავტორი წერს, უსამართლო უნდა დაუძახონ.

გულში ჩაბრუნებული, ხმამაღლა ვერთქმული ვარამი და ვალალი რიტმულ ფრაზეზად გარდაქმნილა: „რუსეთის სამართალი კაცის დამაჭლელებელია, კაცის სულის ამომხდელია, კაცის დამთქმელია, კაცის ამატირებელია, სახლეულობის ლუკმის გამწყვეტელია და ბოლოს ამომწყვეტელი“.

და ეს გოდებაში გადაზრდილი ნაღველი ამ ფინალური აკორდით მთავრდება: „ერთი სიტყვით, რუსეთის სასამართლოთ და იმათ კანონთ არა აქუთ ის მნიშვნელობა, რომ დაგვიფარონ მძლავრებისა და შემჭიდროებისაგან“.

გულიდან გამოჟონილ ცრემლს ზოგჯერ ირონია და იუმორი ცვლის (ტირილით ვერა გავაწყვე და სიცილს მივე თავიო, – სულხან-საბა ორბელიანის იგავის ერთი პერსონაჟისა არ იყოს). მაგალითად, ირონიას არაა მოკლებული მსჯელობა იმის შესახებ, რომ წინათ მხოლოდ უხილავ, დაუსაბამო მამას ვთვლიდით ღმერთად და შვილებსაც ამას ვასწავლიდით, ახლა კი რუსეთის ხელმწიფეს ვალიარებთ ღვთის თანასწორად და მასზედ ვლოცულობთ. თუ წინათ დიდსა და პატარას, სახარების წესზე გაზრდილებს, ერთმანეთი უყვარდათ, ახლა „შებღალული შურით ვხოცავთ

ერთმანეთსა“. მწერლის პირად არქივში შენახულია პატარა, ერთსტროფიანი ეპიგრამა:

ვაი ჩვენსა წერასა  
თავი გვიგავს ძერასა  
ვერა ვხედავთ ვერასა  
შური კი გვკლავს ყველასა.

ლევან ბრეგაძე ერთ ფრიად საინტერესო პუბლიკაციაში („გიორგი მთაწმინდელის ისტორიული ხუმრობა“) წერს, როგორ გადაუწყვეტია ანტიოქიის საპატრიარქოს ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება და როგორ უხსნია ამ საფრთხისგან ჩვენი ეკლესია გიორგი მთაწმინდელის ხუმრობას. საქმე ისაა, რომ ანტიოქიის საპატრიარქოს მრევლი თავის დროზე პეტრე მოციქულს მოუქცევია, ანდრია პირველწოდებულის უმცროს ძმას, ხოლო უფროსი ძმა საქართველოში ქადაგებდა ქრისტიანობას. და აი, გიორგი მთაწმინდელის ხუმრობა ამ უფროს-უმცროსობაზე აიგო თურმე. მას პატრიარქისთვის უთქვამს: „წმინდაო მეუფეო, შვენის ესრეთ, რათა წოდებული იგი მწოდებელსა მას დაემორჩილოს, რამეთუ პეტრესი ჯერ-არს, რათა დაემორჩილოს მწოდებელსა თვისსა და ძმასა ანდრეას და რათა თქვენ ჩვენ დაგვემორჩილნეთ!“

ხუმრობით გაღმა შედავებამ გაჭრა. მაშინ ქართულმა ეკლესიამ დამოუკიდებლობა შეინარჩუნა.

ეს ხერხი (გაღმა შედავებისა), ოღონდ ისე, რომ ხუმრობის, იუმორის ნასახიც, მისხალიც არ ჩანს, აღბეჭდილია „აბოს წამებაშიც“. ჰაგიოგრაფი ავტორი დიდი მწერლური ხელოვნებით გადმოგვცემს ამირასა და არაბი ჭაბუკის საუბარს. გამძვინვარებული მსაჯული უბრძანებს გაკერპებულ ახალგაზრდას, კვლავ თავისი ძველი რჯული, მაჰმადიანობა აღიაროს და გაცეხული ეკითხება, რა ისეთი სიტკბო აქვს ქრისტეს, რომ მისთვის სასიკვდილოდაც გემეტება თავიო. აბოს პასუხი, ერთი მხრივ, სულიერი სიმტკიცისა და ძლიერების ნიმუშია, მეორე მხრივ, შეიძლება აბსურდულადაც მოეჩვენოს ადამიანს. გაღმა შედავებაც ასეთი უნდა: „უკუეთუ გნებავს ცნობად სიტკბოებაი მისი, შენცა გრწმენინ ქრისტე და ნათელ იდე მისა მიმართ და მაშინლა ღირს იქმნე ცნობად სიტკბოებისა მისისა“ (იოვანე საბანისძე 1987: 464). ეს სიტყვები, რომლებიც „სიკვდილის მომატყუებლად“ ექმნა წამებულს, რჩება „გაღმა შედავების“ საუკეთესო ნიმუშად.

ახლა ალექსანდრე ორბელიანის ხელნაწერს დავუბრუნდეთ. მე-3 თავის შემდეგ გადახაზულია: „აბედვით და თამამად ვიტყვი, რომ ჩვენს ახლებსა უძვირფასესი ბრილიანტის გვირგვინი შეშვენის თავისუფლებისა და არა რუსეთის მონების ქვეშ ყოფნა. ოჰ, ძლიერო მართლმსაჯულებავ! ეს სამართალი არ ვიცით რა სამართალია. თუ სწორეთ ითქმის და სვინდისიერათ, ისინი ჩვენს ხელში უნდა იყვნენ და არა ჩვენ მათ მონებაში...“ გაბედულიც არის, თამამიც, სწორად და სვინდისიანად ნათქვამიც გახლავთ. „ისინი ჩვენს ხელში უნდა იყვნენ და არა ჩვენ მათ მონებაში“ – გაღმა შედავების კიდევ ერთი ბრწყინვალე ნიმუშია ჩვენს ლიტერატურაში.

სავსებით სერიოზული, საქმიანი მსჯელობისა და განწყობის მიღმა შეუძლებელია, მკითხველმა მწერლის ღიმილიც არ დაინახოს.

საინტერესოა, რატომ არ დატოვა საბოლოოდ ზემოდამოწმებული მონაკვეთი სტატიაში. იქნებ თვითონვე გადახედა ცენზორის თვალით ან სხვამ ურჩია თუ აიძულა ამოშლა. კარგ მთქმელს კარგი გამგონი უნდა და, ცხადია, რუსეთის ხელისუფლებას კარგ გამგონად ვერ მიიჩნევდა. ამ მჭრელ, ბასრ გამონათქვამს იქნებ დიდი გაუგებრობა და მწერალთან მთავრობის დაპირისპირების გამწვავება მოჰყოლოდა?! მაშინ, როგორც ჩანს, ალექსანდრე ორბელიანს ჩიტი ბდღვნად არ უღირდა. ბოლოს და ბოლოს იუმორით შეფერილი მოჭრილი სიტყვა იყო და არა რეალური მუქარა თუ სამოქმედო პროგრამა. არც ისაა გამორიცხული, რომ საკუთარი სტილისტიკიდან ამოვარდნილ ფრაზას იმიტომ შეეღია, რომ არ მისცა თავს უფლება, უმნიშვნელოვანეს მსჯელობაში თუნდაც ოდნავ და შეფარვით შემოერია იუმორი, ხუმრობა, ლაღობა.

კიდევ ერთი, ავტორის ნებითა თუ სხვისი ჩარევით გადახაზული ფრაზა იქცევს ყურადღებას. ერთი შეხედვით, არასახუმარო, პირდაპირი, სიტყვასიტყვითი მნიშვნელობით გასაგები და საგულისხმო: „გარწმუნებთ, დიდო ევროპიავ, ღვთის გულისათვის ვიტყვით ამას, თქვენსა საუცხოოსა თავსა ნუ დაანთქმევიანებთ მაინც, თუ ჩვენ არ გებრალეებით!“ (ხეც S – 1645).

ალექსანდრე ორბელიანი დიდი ევროპეისტი გახლდათ, ევროპასთან კულტურითა და განათლებით დაახლოების მხურვალე მომხრე და პროპაგანდისტი. ევროპის მხარდაჭერის იმედი ჰქონდა პოლიტიკურ ასპარეზზე. ამდენად, ზემოდამოწმებული აზრი და განწყობა თითქოს არაფერს სალალბოს არ უნდა შეიცავდეს, მაგრამ ფორმა სათქმელისა – ჩვენ თუ არ გებრალეებით, თქვენი თავი მაინც შეიცოდეთო – მაინც სახალისოა და, ვინ იცის, თვითონვე გადაუკეტა გზა ყოველგვარ ხალისს. როცა ქვეყანა უკიდურეს გასაჭირში ეგულებოდა, რა ეხუმრებოდა, რა ეიუმორებოდა, რა ელალბებოდა?!

### დასკვნა

„ახლანდელს და უწინდელს დროზედ შენიშვნა“ უაღრესად მნიშვნელოვანი პუბლიცისტური წერილია, რომელიც დიდხანს ინახებოდა მწერლის არქივში. მის გამოქვეყნებას ხელს შეუშლიდა, წინ გადაეღობებოდა XIX საუკუნეში მკაცრი ცენზურა და არანაკლებ მკაცრი, უფრო გავრცელებულიც კი, ცენზურა XX საუკუნეში. პირველად წერილი გამოქვეყნდა 1999 წელს ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების მიერ გამოცემულ კრებულში „სიტყვა მამულის ტრაპეზზე“. დაიბეჭდა, ცხადია, ხელნაწერის საბოლოო, ავტორის ნების გამომხატველი რედაქციის მიხედვით.

აღმოჩნდა, რომ რამდენიმე ფრაზა, განსაკუთრებით „საშიში“ და „სახიფათო“, თვითონვე გადაუხაზავს. მკრთალად გადასმული ფანქრის მიუხედავად, ეს წინადადებები მკაფიოდ, ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე იკითხება. აქ იგი ქართველთა კულტურული განვითარების სიღრმესა და დამპყრობელ ქვეყანასთან შედარებით ჩვენს უპირატესობას აღნიშნავს; მიმართავს, აგრეთვე, ევროპას და მოუწოდებს მას სიფხიზლისკენ.

მიიჩნევს, რომ მოძალადე სახელმწიფო საფრთხეა მთელი ევროპისთვისაც. არ ვიცი, რას შეეწირა ეს ადგილები: ან სიცოცხლეშივე აპირებდა დაბეჭდვას და ამოაღებინეს, ან თვითონვე იფიქრა, რომ გადააჭარბა და არ მიიჩნია საჭიროდ შთამომავლობისთვისაც ასეთი თამამი აზრების გაცნობა.

ფაქტია, რომ ავტორის მიერ საბოლოოდ ტექსტიდან ამოღებული მონაკვეთები კიდევ ერთხელ და თვალნათლივ ადასტურებს ალექსანდრე ორბელიანის განსაკუთრებულ მამულიშვილობას, დამპყრობლის მიმართ შეურიგებლობასა და თავისუფლების წყურვილს.

#### **დამოწმებული ლიტერატურა**

**საბანისძე 1987:** საბანისძე ი. ჰაზოს წამება. ქართული მწერლობა, ტ. I. თბილისი, 1987.

**ორბელიანი 1999:** ორბელიანი ალ., სიტყვა მამულის ტრაპეზზედ. თბილისი, 1999.

**ჩხეიძე 1996:** ჩხეიძე რ., ალექსანდრე ორბელიანი. თბილისი, 1996.

**ხეც:** ორბელიანი ალ., ახლანდელს და უწინდელს დროზედ შენიშვნა. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონდი S-1645.